

FROM MILITARY CHRONICLE TO IMPERIAL PROJECT:
GEORGIA IN THE GERMAN PRESS, 1723–1724¹

სამხედრო ქრონიკიდან იმპერიულ პროექტამდე:
საქართველო 1723-1724 წლების გერმანულ პრესაში²

DALI KANDELAKI

Doctor of Historical Sciences, Professor,
Department of Russian History, Faculty of Humanities
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tel.: +095577278838
e-mail: dali.kandelaki@tsu.ge
ORCID: 0000-0001-7764-5059

Abstract: Reports concerning Georgia published in the German press in 1723-1724 reflected not only military and political events, but also the processes through which the Caucasus became part of European political thought. The materials published in the newspaper “Staats- und gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten” demonstrate particularly clearly how operational information in the form of military chronicles was transformed into a means of explaining Russian imperial policy. Reports disseminated in the context of the Russian-Ottoman-Persian confrontation simultaneously reflected the Caucasian policy of the Russian Emperor Peter I, Russian military activity, and Georgia’s place within the regional balance of power. The analysis of these reports demonstrates that periodical publications did not merely serve the function of transmitting information; they also created political and symbolic representations through which European readers perceived Georgia, the Caucasus, and Russia’s southern policy. Particular attention is devoted to the sources of information, narrative structures, forms of transmission, and interpretative models that gradually transformed military reports into elements of a broader geopolitical vision. In this process, Georgia initially appeared as an area of military operations and troop movements, but later came to be represented as a strategically important territory whose control was connected to Russia’s plans for expansion toward the south. From this perspective, early eighteenth-century German periodicals constitute an important source for studying the transformation of information, political evaluation, and the history of European perceptions of Georgia.

Keywords: Georgia; German press; eighteenth century; Caucasus; Russian-Ottoman-Persian relations.

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number GSDP-25-294].

² კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: GSDP-25-294].

დალი კანდელაკი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსეთის ისტორიის კათედრა

ORCID: 0000-0001-7764-5059

ელფოსტა: dali.kandelaki@tsu.ge

ტელ.: +095577278838

აბსტრაქტი: 1723-1724 წლებში გერმანულ პრესაში გამოქვეყნებული ცნობები საქართველოს შესახებ ასახავს არა მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკურ მოვლენებს, არამედ იმ პროცესებსაც, რომელთა მეშვეობითაც კავკასია ევროპული პოლიტიკური აზროვნების ნაწილად იქცეოდა. გაზეთის - „Staats- und gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten“ - მასალები განსაკუთრებით ნათლად აჩვენებს, თუ როგორ გარდაიქმნება სამხედრო ქრონიკის ტიპის ოპერატიული ინფორმაცია რუსეთის იმპერიული პოლიტიკის განმარტების საშუალებად. რუსეთ-ოსმალეთ-სპარსეთის დაპირისპირების კონტექსტში გავრცელებული ცნობები ერთდროულად ასახავს რუსეთის იმპერატორ პიოტრ I-ის კავკასიურ პოლიტიკას, რუსეთის სამხედრო აქტივობას და საქართველოს ადგილს რეგიონულ ძალთა ბალანსში. ცნობების ანალიზი ცხადყოფს, რომ პერიოდიკა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის ფუნქციას არ ასრულებდა; იგი ქმნიდა პოლიტიკურ და სიმბოლურ წარმოდგენებს, რომელთა გავლენითაც ევროპელი მკითხველი აღიქვამდა საქართველოს, კავკასიასა და რუსეთის სამხრეთის პოლიტიკას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციის წყაროებს, ნარატიულ სტრუქტურებს, გადმოცემის ფორმებსა და იმ განმარტებით მოდელს, რომლებიც სამხედრო ცნობებს თანდათან ფართო გეოპოლიტიკური ხედვის ნაწილად აქცევდა. ამ პროცესში საქართველო თავდაპირველად ჩნდება როგორც საომარი მოქმედებებისა და სამხედრო გადაადგილებების არეალი, თუმცა მოგვიანებით იგი წარმოდგენილია როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ტერიტორია, რომლის კონტროლიც დაკავშირებულია რუსეთის სამხრეთისკენ გაფართოების გეგმებთან. ამ თვალსაზრისით, ადრეული XVIII საუკუნის გერმანული პერიოდიკა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ინფორმაციის ტრანსფორმაციის, პოლიტიკური შეფასებებისა და საქართველოს ევროპული აღქმის ისტორიის შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, გერმანული პრესა, XVIII საუკუნე, კავკასია, რუსეთ-ოსმალეთ-სპარსეთის ურთიერთობები.

შესავალი

XVIII საუკუნის დასაწყისის გერმანული პრესა წარმოადგენს მნიშვნელოვან, თუმცა ჯერ კიდევ არასაკმარისად ათვისებულ წყაროს საქართველოს ისტორიისათვის. 1722-1724 წლებში, რუსეთის კასპიისპირეთის ლაშქრობისა და სპარსეთის პოლიტიკური კრიზისის ფონზე, კავკასიური რეგიონი რეგულარულად ხვდება ევროპული საინფორმაციო ქსელის ყურადღების ცენტრში. სტატის მიზანია გაზეთ „Staats- u. gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten“-ის მასალებზე დაყრდნობით აჩვენოს, თუ როგორ ჩნდება საქართველო ამ პერიოდიკაში არა როგორც დამოუკიდებელი თემა, არამედ როგორც სამხედრო, დიპლომატიური და იმპერიული პროექტების გადაკვეთის არეალი.

გაზეთის გამოცემის ისტორია XVIII საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. მის პირველ გამომცემლად მიიჩნევა შიფბეკში მოღვაწე ჰერმან ჰაინრიხ ჰოლე (Hermann Heinrich Holle),

რომელმაც 1712-1714 წლებში დაიწყო „ჰოლშტაინური გაზეთის კორესპონდენტის“ (Holsteinischer Zeitungscorrespondent) გამოცემა. 1721 წლის 29 აპრილს გამოცემა განახლდა და უკვე სახელწოდებით „ჰოლშტაინური კორესპონდენტი“ (Holsteinischer Correspondent) გამოვიდა, ხოლო 1731 წლიდან იგი „ჰამბურგის კორესპონდენტის“ (Hamburgischer Correspondent) (Stöber, 2025: 96-97) სახელით იბეჭდებოდა. იმავე წელს ჰოლშტაინური გაზეთი გადასცა თავის სიძეს, გეორგ კრისტიან გრუნდს (Georg Christian Grund), რის შემდეგაც გამოცემა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური მფლობელობის ფარგლებში ფუნქციონირებდა (Böning, 2002:22).

თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზევე „კორესპონდენტი“ იქცა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და ფართოდ გავრცელებულ პერიოდულ გამოცემად. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მისი ტირაჟი ათიათასობით ეგზემპლარს აღწევდა და არა მხოლოდ ჩრდილოეთ გერმანიაში, არამედ ევროპის სხვა რეგიონებშიც ვრცელდებოდა, მათ შორის საზღვაო სავაჭრო ქსელების მეშვეობით (Böning, 2002:23). ეს გარემოება განსაზღვრავს იმას, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობები უნდა განვიხილოთ როგორც ფართო ევროპული საინფორმაციო სივრცის ნაწილი, რომელიც გავლენას ახდენდა საერთაშორისო მოვლენების აღქმასა და ინტერპრეტაციაზე.

ფორმატისა და პერიოდულობის თვალსაზრისით, „კორესპონდენტი“ იყო მაღალი სიხშირის საინფორმაციო გამოცემა. უკვე 1722 წლიდან გაზეთი კვირაში რამდენჯერმე გამოდიოდა და სწრაფად რეაგირებდა მიმდინარე მოვლენებზე. ამასთან, გამოცემას ჰქონდა დამატებითი ფუნქცია: წლის ბოლოს ქვეყნდებოდა ერთგვარი „ქრონიკა“, რომელიც მოიცავდა წლის განმავლობაში მომხდარ მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენებს (Böning, 2002:21). ამგვარად, გაზეთი ერთდროულად ასრულებდა როგორც ოპერატიული ინფორმაციის გავრცელების, ისე ისტორიული რეტროსპექტივის ფორმირების ფუნქციას. დისკურსული სტილით, „კორესპონდენტი“ ძირითადად ინარჩუნებდა ფაქტობრივ და დოკუმენტურ ტონს. პრიორიტეტი ენიჭებოდა პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების აღწერას, ხოლო ანალიტიკური კომენტარი მინიმუმამდე იყო დაყვანილი. გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა ოფიციალური დოკუმენტები, ხელშეკრულებები, კანონები და სხვა წყაროები, რაც მას სანდო ინფორმაციის გადამცემის სახეს ანიჭებდა.

გაზეთის ერთ-ერთ დეკლარირებულ საფუძვლად „მიუკერძოებლობის“ პრინციპი გვევლინება. ეს მიუკერძოებლობა უფრო მეტად ნორმატიულ იდეალს წარმოადგენდა, ვიდრე რეალურ პრაქტიკას, ვინაიდან გაზეთი მოქმედებდა ცენზურისა და პოლიტიკური ზეწოლის პირობებში. ასეთ ვითარებაში გაზეთი ხშირად მიმართავდა სტრატეგიას, რომელიც გულისხმობდა სხვადასხვა მხარის პოზიციების პარალელურ წარმოდგენას. შედეგად იქმნებოდა მრავალპერსპექტიული საინფორმაციო გარემო, სადაც მკითხველს ეძლეოდა შესაძლებლობა თავად შეეფასებინა მოვლენები (Böning, 2002:26-29).

გაზეთი წარმოადგენდა ტრანსნაციონალური საინფორმაციო ქსელის ერთ-ერთი ცენტრალურ ორგანოს, რომელიც აერთიანებდა კორესპონდენციულ კომუნიკაციას, ოპერატიულ ჟურნალისტიკასა და პოლიტიკური ინფორმაციის ფართო ცირკულაციას. აღნიშნული მახასიათებლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1723-1724 წლების ცნობების ანალიზისას, ვინაიდან ისინი საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ, თუ როგორ იქმნებოდა და ვრცელდებოდა ინფორმაცია საქართველოსა და კავკასიის შესახებ XVIII საუკუნის გერმანულ მედიაში.

კვლევის მეთოდი

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-კრიტიკულ და დისკურსულ ანალიზს. ძირითადი წყაროს სახით გამოყენებულია 1723-1724 წლებში გერმანულ გაზეთში - „Staats- und gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten“ - გამოქვეყნებული ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. კვლევის პროცესში განხორციელდა ტექსტების შინაარსობრივი, ნარატიული და კონტექსტუალური ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს, თუ როგორ აისახებოდა სამხედრო და პოლიტიკური მოვლენები გერმანულ პერიოდიკაში და როგორ აღიქმებოდა და განიმარტებოდა ისინი ევროპულ საინფორმაციო სივრცეში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინფორმაციის წყაროების გადმოცემის ფორმების, პოლიტიკური ლექსიკისა და იმ წარმოდგენების შესწავლას, რომელთა საშუალებითაც სამხედრო ცნობები ფართო პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელ ტექსტებად გარდაიქმნებოდა. გამოყენებულია შედარებითი მეთოდიც, რომლის მეშვეობითაც გაზეთის ცნობები შეპირისპირდა XVIII საუკუნის ისტორიულ კონტექსტსა და შესაბამის პოლიტიკურ პროცესებთან. კვლევა ასევე ეყრდნობა მედიის ისტორიისა და რეპრეზენტაციის ანალიზის ელემენტებს, რაც შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს არა მხოლოდ ცნობების ფაქტობრივი შინაარსი, არამედ ის პოლიტიკური და სიმბოლური წარმოდგენებიც, რომელთა მეშვეობითაც საქართველო და კავკასია ევროპელი მკითხველისთვის აღიქმებოდა.

შედეგები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ 1723-1724 წლების გერმანულ პრესაში საქართველო უმთავრესად წარმოდგენილია რუსეთ-ოსმალეთ-სპარსეთის სამხედრო და პოლიტიკური დაპირისპირების კონტექსტში. „Staats- und gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten“-ში გამოქვეყნებული ცნობები აჩვენებს, რომ საქართველო თავდაპირველად აღიქმებოდა როგორც სამხედრო გადაადგილებების, ლაშქრობებისა და დიპლომატიური ინტერესების არეალი, თუმცა დროთა განმავლობაში ტექსტებში მისი მნიშვნელობა ფართოვდება და იგი რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტად წარმოჩნდება.

ანალიზმა ცხადყო, რომ გაზეთში გავრცელებული ინფორმაცია ხშირად ეყრდნობოდა სხვადასხვა ევროპული საინფორმაციო ცენტრიდან მიღებულ კორესპონდენციებს, რის გამოც ცნობები ზოგჯერ ფრაგმენტული, ურთიერთსაწინააღმდეგო ან გაზვიადებული იყო. მიუხედავად ამისა, ეს მასალა ნათლად ასახავს იმდროინდელი ევროპული პრესის ინტერესს კავკასიის მიმართ და აჩვენებს, თუ როგორ იქმნებოდა პოლიტიკური წარმოდგენები რუსეთის სამხრეთული პოლიტიკის შესახებ.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ სამხედრო ქრონიკის ტიპის ცნობები თანდათან იძენდა უფრო ფართო პოლიტიკურ დატვირთვას. საქართველო ტექსტებში აღარ ჩნდება მხოლოდ როგორც საომარი მოქმედებების ტერიტორია; იგი წარმოდგენილია როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რეგიონი, რომლის კონტროლი დაკავშირებულია რუსეთის იმპერიის სამხრეთისკენ გაფართოების გეგმებთან. ამასთანავე, გაზეთის ტექსტები ქმნის ისეთ წარმოდგენას, სადაც რუსეთის მოქმედება ხშირად აღიქმება როგორც პოლიტიკური წესრიგისა და სტაბილურობის დამყარების მცდელობა.

შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ გერმანული პერიოდიკა მხოლოდ ინფორმაციის გამავრცელებელი არ იყო. იგი მონაწილეობდა კავკასიისა და საქართველოს შესახებ წარმოდგენების ფორმირებაში, განსაზღვრავდა მოვლენათა მნიშვნელობას და ევროპელ მკითხველს სთავაზობდა კონკრეტულ პოლიტიკურ ხედვას.

ამგვარად, 1723-1724 წლების გერმანული პრესა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის, არამედ ინფორმაციის გავრცელებისა და საქართველოს ევროპული აღქმის ისტორიის შესასწავლად.

მსჯელობა და დასკვნა

1722 წლის განმავლობაში გაზეთში - „Staats- und gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten“ - საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული ცნობები უმეტესად ოპერატიულ-ქრონიკულ ხასიათს ატარებდა და ასახავდა რუსეთის სამხედრო მზადებას, ჯარების გადაადგილებასა და კასპისპირეთსა და კავკასიაში დაგეგმილ მოქმედებებს. 1723 წლის დასაწყისში ეს დინამიკა ახალ ეტაპზე გადადის: მიმდინარე პროცესები პირველად იღებს ოფიციალური და ნორმატიული პოლიტიკური ტექსტის ფორმას რუსეთის იმპერატორ პიოტრ I-ის მანიფესტში, რომელიც სპარსეთის ტერიტორიებზე გასავრცელებლად გამოიცა და მალევე ევროპული საინფორმაციო ცირკულაციის ნაწილიც გახდა.

გერმანულ გაზეთში 1723 წლის 26 იანვარს გამოქვეყნებული „მანიფესტი, რომელიც მისი რუსეთის იმპერატორობითი უდიდებულესობამ სპარსეთში გაავრცელებინა“ (Correspondenten, 26.01.1723, N15: 2-3) - წარმოადგენს რუსეთის იმპერიული პოლიტიკის პროგრამულ ტექსტს კავკასიისა და სპარსეთის მიმართულებით და ავლენს იმ სახელმწიფოებრივ პოზიციას, რომელიც 1722 წლის ოპერატიულ ცნობებში ჯერ კიდევ მხოლოდ ფრაგმენტულად იკითხებოდა.

მანიფესტის საწყის ნაწილში რუსული ლაშქრობა გამართლებულია შირვანისა და შამახის მოვლენებით, სადაც ლეკების აჯანყება და მირვეისის³ მომხრე ძალების მოქმედებები წარმოდგენილია როგორც არალეგიტიმური ძალადობა, რომელმაც დაარღვია არსებული მშვიდობა და დააზარალა როგორც სპარსეთის შაჰის ქვეშევრდომები, ისე რუსი ვაჭრები. სამხედრო ლაშქრობა წარმოდგენილია არა როგორც აგრესიული ექსპანსია, არამედ როგორც წესრიგისა და უსაფრთხოების აღდგენის ლეგიტიმური პასუხი. ამ არგუმენტაციასთან ერთად ტექსტი მკაფიოდ აჩვენებს, რომ ლაშქრობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დამსჯელი ოპერაციით. მანიფესტში რუსული არმიის მოქმედება წარმოდგენილია როგორც უფრო ფართო პოლიტიკური პროექტი, რომელიც მოიცავს რეგიონში წესრიგის დამყარებას, ვაჭრობის დაცვას და ადგილობრივი მოსახლეობის მფარველობას. სწორედ ამ კონტექსტში ჩნდება საქართველოს თემა, რომელიც მანიფესტში აღარ არის მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე ან სამხედრო მიმართულება, არამედ იმპერიული მიმართვის ობიექტი.

პიოტრ I პირდაპირ მიმართავს კავკასიის სხვადასხვა ეთნო-კონფესიურ ჯგუფებს და მათ შორის ცალკე ასახელებს ქართველებს: „...ვუცხადებთ მისი უდიდებულესობის, ყოვლადნათელი და ყოვლადმღიერი ჩვენი საყვარელი მეგობრის, შაჰის - მფარველობაში მყოფ ყველა მმართველს და სამხედრო მეთაურ პირს, აგრეთვე ქვეშევრდომებს, როგორი სარწმუნოებისა და რელიგიისაც არ უნდა იყვნენ ისინი - სპარსელებს, აშემებს,⁴ სომხებს,

³ აქ და შემდეგ სხვა ცნობებშიც მირვეისია მითითებული, თუმცა ის უკვე გარდაცვლილი იყო და შესაბამისად, ივლისხმება მაჰმუდ ჰოტაკი, რომელმაც 1722 წელს დაიკავა ისფაჰანი და ირანის მმართველად გამოაცხადა თავი.

⁴ გერმანულ ტექსტში გამოყენებული ტერმინი „Aschem“ რუსულ ორიგინალში არ ფიგურირებს და მის ადგილას მოხსენიებულია „иностранные“ („უცხოელები“; ... начальников и подданных всяких вер и наций, Персиян и иностранных, армян, грузинов и всех них странах ныне пребывающих...). ეს გარემოება მიუთითებს, რომ ტერმინი არ წარმოადგენს მკაცრ ეთნიკურ კატეგორიას და შესაძლოა იყოს აღმოსავლური ფორმის (‘Ajam) ევროპული ტრანსკრიპცია ან რედაქციული თავისებურება. მანიფესტის

ქართველებს და ყველა უცხოელს, რომლებიც ამჟამად ამ მხარეებში იმყოფებიან, ჩვენს იმპერატორულ ყოვლადმოწყალე გარანტიას; და ჩვენი გულწრფელი, მტკიცე და ურყევი ნებაა, რომ ზემოხსენებულ პროვინციებში არც ადგილობრივ მცხოვრებლებს და არც იქ მყოფ უცხოელებს არ მიადგეთ არავითარი ზიანი ან ზარალი, რომ არავინ ხელყოფდეს მათ პიროვნებას, ქონებას, დაბეზსა თუ სოფლებს“ (Correspondenten, 26.01.1723, N15: 2-3). ქართველები ტექსტში სხვა ხალხებთან ერთად არიან მოხსენიებულნი და მოქცეულნი იმავე ნორმატიულ სივრცეში, სადაც ერთგულება და სიმშვიდის დაცვა უსაფრთხოების გარანტიებთან არის დაკავშირებული, ხოლო დაუმორჩილებლობა - სამხედრო ძალის გამოყენებასთან. მანიფესტი ავლენს იმპერიული კონტროლის დუალისტურ ლოგიკას: დაცვა და მფარველობა ერთ მხარეს, ძალადობის მუქარა - მეორე მხარეს. გერმანულ გამოცემაში ამ ტექსტის გამოქვეყნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი მკითხველს აცნობს არა მხოლოდ მოვლენათა განვითარებას, არამედ რუსეთის სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქმედებების ოფიციალურ ინტერპრეტაციასაც. საქართველო ამ დისკურსში ჩნდება როგორც სივრცე, სადაც სამხედრო კამპანია წარმოდგენილია პოლიტიკური წესრიგის, უსაფრთხოებისა და იმპერიული მფარველობის პროექტად, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა ამ პოლიტიკის უშუალო ადრესატად.

1723 წლის 14 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულია კონსტანტინოპოლიდან 24 მაისს გამოგზავნილი ცნობა: „სპარსეთიდან მიღებული წერილები იუწყებიან, რომ მირივეისი ძლევამოსილი არმიით სრული მარშით საქართველოსკენ მიემართება და რომ იმავე პროვინციაში მან უკვე გაავრცელებინა ოფიციალური დეკლარაციები, რომელთა მეშვეობითაც მოსახლეობას მოსთხოვა, კვლავ დაემორჩილონ თავიანთ კანონიერ სუვერენს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ცეცხლითა და მახვილით დევნას უნდა ელოდნენ“ (Correspondenten, 14.07.1723, N112: 1-2). ცნობა გაგზავნილია კონსტანტინოპოლიდან, მაგრამ ინფორმაცია სპარსეთიდან მიღებული წერილების საფუძველზეა; ანუ ტექსტი გადმოსცემს ირანულ საინფორმაციო არხს, არა ოსმალურ ოფიციალურ პოზიციას. ცნობა ასახავს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ დამაბულობას სპარსეთის შიდა კრიზისისა და ავღანელების მოძრაობის კონტექსტში. გაზეთში საქართველო წარმოდგენილია როგორც არეალი, სადაც სამხედრო მოქმედება თანდათან გადადის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ იძულებაში: სამხედრო წინსვლას ახლავს მოსახლეობისადმი მიმართული მორჩილების მოთხოვნა და ძალადობის ლეგიტიმაციის მკაფიო ფორმულირება. ამგვარად, საქართველო აქ აღარ იკითხება მხოლოდ როგორც გეოგრაფიული ტერიტორია, არამედ როგორც პოლიტიკური კონტროლის მოსაპოვებელი პროვინცია, რომლის მოსახლეობა ჩართულია იმპერიულ დაპირისპირებაში ძალასა და ლოიალობას შორის მკაცრად ჩამოყალიბებული ალტერნატივის პირობებში. კონსტანტინოპოლიდან 24 მაისს მიღებული ცნობები, რომლებიც საქართველოს მიმართულებით მირივეისის სამხედრო წინსვლასა და მოსახლეობისადმი მიმართული იძულების ფორმებს აღწერს, არ არის იზოლირებული ეპიზოდი. იმავე პერიოდში გერმანული გაზეთი პარალელურად აქვეყნებს ცნობებს რუსეთისა და ოსმალეთის დიპლომატიურ ურთიერთობებზე და კასპისპირეთში მიმდინარე სამხედრო მზადებაზე, რაც სამხრეთ კავკასიას უფრო ფართო საერთაშორისო პოლიტიკური კომუნიკაციის ქსელში აქცევს.

1723 წლის 14 აგვისტოს ნომერში, კონსტანტინოპოლიდან 1 ივლისით დათარიღებული ცნობა ასახავს სამხრეთ კავკასიაში ძალთა გადაადგილებისა და პოლიტიკური

- „Манифест к народам Кавказа и Персии“ - რუსული ტექსტი გამოქვეყნებულია: Густерин П. История жизни и труды молдавского господаря и российского князя Дмитрия Кантемира. М., 2024, с. 169-172.

გაურკვევლობის მდგომარეობას სპარსეთის შიდა კრიზისისა და ოსმალეთ-რუსეთის ინტერესთა გადაკვეთის ფონზე. ცნობაში აღნიშნულია, რომ „პორტამ ყარსში, საქართველოს საზღვრებთან, სხვადასხვა ფაშას ხელმძღვანელობით მრავალრიცხოვანი ბანაკი შეკრიბა; ამავე დროს, სპარსეთიდან მიღებული სანდო უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ცნობილი მირივეისი, ნაკლებად ფიქრობს ახალ დაპყრობებზე, არამედ მხოლოდ უკვე მოპოვებულის შენარჩუნებას ცდილობს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ახალგაზრდა პრინცმა თამაზმა, გარდაცვლილი სოფის⁵ დარჩენილმა ვაჟმა, თავრიზში მას გარკვეული საფრთხე შეუქმნა, ვინაიდან მან ამ მხარეში მნიშვნელოვანი ბანაკი ჩამოაყალიბა და მისი სარდლობა გადასცა სპარსეთის ელჩს, რომელიც ახლახან აქ, ამ სასახლის კარზე იმყოფებოდა“ (Correspondenten, 14.08.1723, N130: 1). მოცემული ცნობა საქართველოს კვლავ არ წარმოაჩენს როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ აქტორს. თუმცა გერმანული გამოცემისთვის იგი ამ ეტაპზე ფუნქციონირებს როგორც საზღვარი, რომლის სიახლოვესაც იკვეთება მრავალიმპერიული ინტერესები და რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება არა შიდა პროცესებით, არამედ გარე ძალთა სამხედრო და პოლიტიკური გადაადგილებებით.

წინა ცნობებში საქართველო ძირითადად იკითხებოდა როგორც სამხედრო გადაადგილებისა და ოპერატიული გეგმების მიმართულება, სადაც რუსული და სპარსული ძალები მოქმედებდნენ ჯერ კიდევ დაუდგენელი პოლიტიკური შედეგით. 1723 წლის 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული 10 ივლისის კონსტანტინოპოლის ცნობა ამ სურათს ახალ განზომილებას მატებს. მასალის ძირითადი ნაწილი ეხება სპარსეთში არსებულ ქაოსსა და არეულობას, მირივეისის მიერ ძალადობრივი გზით ხელისუფლების განმტკიცებას, რუსეთის დიპლომატიურ პოზიციას, რომელიც ოსმალეთის კარზე წარმოდგენილია როგორც ლეგიტიმური შურისძიება, მცდელობა „კანონიერი შაჰის შვილის“ ტახტზე დასმისა, და არგუმენტს, რომ სპარსეთის მონარქიის აღდგენა ოსმალეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. პოსტკრიპტში ამ პოლიტიკურ-დიპლომატიურ სურათს დამატებით, პრაქტიკული სამხედრო შედეგით ავსებს და სამხრეთ კავკასიის ძალთა ბალანსის ცვლილებას ასახავს. მასში საქართველოს ამბავი სრულიად ლოგიკურად ჯდება: „P.S. დღეს აქ ერზერუმის გუბერნატორის, იბრაჰიმ ფაშასგან, ორი სასწრაფო მაცნე ჩამოვიდა უზენაესი პორტასთვის მეტად სასიხარულო ცნობით, კერძოდ იმის შესახებ, რომ ქართველები ქართლიდან, 8000 კაციანი თურქული ჯარის მოახლოებისას, კვლავ სულთნის მფარველობაში გადავიდნენ და დედაქალაქ ტიფლისის გასაღები, აგრეთვე კიდევ ორი სხვა ადგილის გასაღები, ზემოხსენებულ ფაშას გადასცეს“ (Correspondenten, 27.08.1723, N137: 2).

პირველად გერმანულ გაზეთში პირდაპირ და დაუფარავად არის დაფიქსირებული ინფორმაცია თბილისის ჩაბარებისა და ქართლის ოსმალური მფარველობის ქვეშ გადასვლის შესახებ. P.S.-ში მოყვანილი ცნობა ადასტურებს, რომ 1723 წლის ზაფხულისთვის ქართლი და თბილისი გერმანული პრესის თვალში უკვე აღიქმებოდა როგორც ძალადობრივი პოლიტიკური არჩევანის წინაშე მდგომი ტერიტორია, სადაც ადგილობრივებმა სამხედრო ზეწოლის პირობებში ოსმალეთის სუვერენიტეტი მიიღეს. ამგვარად, თუ წინა ცნობებში საქართველო ჩნდებოდა როგორც სამხედრო ოპერაციების შესაძლო არეალი, მოცემულ ტექსტში იგი უკვე ფიქსირდება როგორც დაკარგული პოლიტიკური ცენტრი - დედაქალაქის გასაღებების გადაცემითა და ფორმალური მფარველობის მიღებით.

1723 წლის 12 ოქტომბრის ნომერში, კონსტანტინოპოლიდან 20 აგვისტოთი დათარიღებული ცნობა ასახავს, თუ როგორ აღიქვამს ოსმალური პოლიტიკური ცენტრი

⁵ გერმანულ ტექსტში გამოყენებული ტერმინი „Sophi“ ევროპულ დისკურსში ნიშნავდა - სეფევიდი შაჰი.

რუსეთის მოქმედებებს სპარსეთსა და საქართველოში არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ უფრო ფართო სტრატეგიულ საფრთხედ. ტექსტში პირდაპირაა ნათქვამი, „რადგან ჩვენმა წინსვლამ სპარსეთსა და საქართველოში შეიძლება რუს იმპერატორს უბიძგოს, რომ უკრაინასა და ასტრახანის მიდამოებში მცხოვრებ ხალხებთან ერთად აზოვზე თავდასხმა განახორციელოს და ამგვარად ჩვენს ძალებში დივერსია მოაწყოს, დიდმა ვეზირმა ბრძანა, დაუყოვნებლივ გაიგზავნოს იქ ხალხი და სამხედრო მასალა; ამასთანავე, რუმელიის ფაშას დაევალა, რამდენი ჯარისკაციც კი შეეძლება, იქით გაგზავნოს, რათა ეს ადგილი, თუ მას თავს დაესხმებიან, კარგ თავდაცვით მდგომარეობაში მოიყვანონ. სულთანმა მიიღო წერილი მირივეისისგან, რომელშიც იგი მის უზენაესობას მუსლიმანთა უმაღლეს მეთაურად აღიარებს და ამავე დროს სთხოვს, რომ ჩვენი ძალა მის ძალას შეუერთდეს, რათა ჩვენი საერთო რჯულის მტრები განიდევნონ“ (Correspondenten, 12.10.1723, N163: 2).

ზემოთ მოყვანილ ცნობაში საქართველო იხსენიება არა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, არამედ როგორც ოსმალეთ-რუსეთის სტრატეგიული დაპირისპირების ერთ-ერთი მიმართულება. ტექსტი ასახავს ოსმალური მხარის შიშს, რომ რუსეთის სამხედრო აქტივობა სპარსეთსა და საქართველოში შეიძლება გადაიზარდოს ფართომასშტაბიან შეტევაში აზოვის მიმართულებით. ამ კონტექსტში საქართველო ფუნქციონირებს როგორც იმპერიული სამხედრო მოძრაობის მაპროვოცირებელი ფაქტორი. ამავე ცნობაში მირვეისი ჩნდება როგორც აქტორი, რომელიც ცდილობს საკუთარი ლეგიტიმაცია ოსმალური დისკურსის ფარგლებში განამტკიცოს: იგი სულთანს აღიარებს მუსლიმთა უმაღლეს მეთაურად და სამხედრო თანამშრომლობას სთავაზობს. ამგვარად, სამხრეთ კავკასიური სივრცე წარმოდგენილია როგორც იმპერიულ ინტერესთა გადაკვეთის ზონა, სადაც სამხედრო ოპერაციები, რელიგიურ-იურიდიული არგუმენტაცია და დიპლომატიური მანევრები ერთიან პოლიტიკურ პროცესად იკვეთება. ამ კონტექსტში საქართველო მკაფიოდ ფიქსირდება გეოგრაფიულ და სამხედრო მიმართულებად, რომლის გარშემოც იკვეთება რუსული, ოსმალური და ავღანური ინტერესები.

1723 წლის 15 ოქტომბრის ნომერში, პეტერბურგიდან 21 სექტემბრით დათარიღებული ცნობა ავლენს სამხრეთ კავკასიისა და სპარსეთის საკითხის აღქმას რუსულ საინფორმაციო დისკურსში, სადაც სამხედრო მოვლენები ინტერპრეტირდება დიპლომატიური ეჭვებისა და პოლიტიკური ლოიალობების ცვალებადობის ჭრილში: „სპარსეთიდან ახლახან ჩამოსულმა კურიერმა, სხვა ცნობებთან ერთად, მოახსენა, რომ თურქებმა სხვადასხვა დროს მირივეისის ჯარებიდან რამდენიმე ათასი კაცი დახოცეს, თუმცა მას შემდეგ, რაც მან ნება დართო მათ, რომ მთელი არმიით სამეფოში უფრო შორს შეეღწიათ. აღნიშნულმა მხარემ აჯანყებულებს ყველგან დაუბრკოლებლად გადაადგილების საშუალება მისცა. აქედან ვარაუდობენ, რომ ზემოხსენებული მეამბოხე ოსმალეთის პორტასთან საიდუმლო შეთანხმებაში უნდა იმყოფებოდეს. ამ გარემოებამ, აგრეთვე ცნობამ იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ქართველი კვლავ ჩამოშორდა რუსულ მხარეს, შესაძლოა მის საიმპერატორო უდიდებულესობას უბიძგოს, აღნიშნულ სამეფოში კიდევ მეტი ჯარი მარშით გადააგზავნოს“ (Correspondenten, 15.10.1723, N165: 1-2).

საქართველოს ხსენება აქ უკვე არა მხოლოდ სამხედრო ოპერაციების ფონზე ჩნდება, არამედ პოლიტიკური ერთეულების პრობლემასთანაც არის დაკავშირებული. „ზოგიერთი ქართველი“ წარმოდგენილია როგორც სუბიექტი, რომლის პოზიციის ცვლილება რუსეთის მხრიდან დამატებითი ჯარების გაგზავნის აუცილებლობას წარმოშობს. ამგვარად, საქართველო იკითხება როგორც არასტაბილური პოლიტიკური სივრცე, სადაც ადგილობრივი დიდებულებისა და ჯგუფების ლოიალობა უშუალოდ ზემოქმედებს იმპერიულ სამხედრო

გადაწყვეტილებებზე. ტექსტი ხაზს უსვამს მირვეისისა და ოსმალეთის პორტას შესაძლო საიდუმლო შეთანხმებას, რაც აჯანყებულთა თავისუფალ გადაადგილებას ხსნის და კონფლიქტს უფრო ფართო საერთაშორისო კონტექსტში სვამს. ცნობიდან ნათლად იკვეთება, რომ სამხრეთ კავკასია და მიმდებარე რეგიონები 1723 წელს ევროპული პრესისტოვის უკვე აღარ არის მხოლოდ ბრძოლის ველი, არამედ დიპლომატიური მანევრებისა და ძალაუფლების გადანაწილების სივრცე.

1723 წლის 30 ოქტომბრის ცნობაში გერმანული პრესა რუსეთის სამხედრო მოქმედებებს კავკასიაში უკვე არა როგორც გეგმას ან შესაძლებლობას, არამედ როგორც განხორციელებულ ფაქტს წარმოაჩენს: „ერთი რუსული კორპუსი კავკასიის მთების გავლით შეიჭრა და რამდენიმე ათას თათარს თავს დაესხა; მათი დიდი ნაწილი არა მხოლოდ ამოხოცეს, არამედ ამის შემდეგ სამეგრელოშიც შეიჭრნენ, რათა საქმე იქამდე მიეყვანათ, რომ ქართველ მთავრებს აზრი შეეცვალათ და მისი რუსეთის საიმპერატორო უდიდებულესობის მორჩილებას დაქვემდებარებოდნენ“ (Correspondenten, 30.10.1723, N174: 1). საქართველო და განსაკუთრებით სამეგრელო, აქ უკვე წარმოდგენილია როგორც პირდაპირი სამხედრო ჩარევის ობიექტი და იმპერიული ექსპანსიის რეალური არეალი. გერმანული პრესისტოვის ეს წარმოდგენს მკაფიო სიგნალს, რომ რუსეთის ექსპანსია კავკასიაში 1723 წლისთვის ფაქტობრივი რეალობა გახდა.

1723 წლის 29 ნოემბრით დათარიღებული, მაგრამ 1724 წლის იანვარში გამოქვეყნებული ცნობა კონსტანტინოპოლიდან ასახავს სამხრეთ კავკასიის საკითხის ჩართვას ოსმალურ-სპარსულ-რუსულ სამხრეთ დიპლომატიურ კონფიგურაციაში: „ბოლო აუდიენციის შესახებ, რომელიც სპარსეთში მყოფი ახალგაზრდა შაჰის დესპანს გამგზავრებამდე დიდ ვეზირთან ჰქონდა, შემდეგი გარემოებებია ცნობილი: მას შემდეგ, რაც სპარსელმა ელჩმა საჩივარი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ თურქები საქართველოში და სხვა სპარსულ პროვინციებში შეიჭრნენ, მან ამასთან ერთად წარმოაჩინა, რა სიზუსტით ინარჩუნებდა მისი მბრძანებელი, მეფე, მშვიდობას პორტასთან იმ დროს, როდესაც ის ქრისტიანულ ძალებთან ომში იყო ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ თურქული მხარე თვლიდა, თითქოს სპარსეთში არსებული არეულობიდან სარგებლის მიღება შეიძლებოდა, ელჩი მაინც არწმუნებდა, რომ მის მეფეს ჯერ კიდევ საკმარისი ძალა დარჩენოდა, რათა მტრებისთვის წინააღმდეგობა გაეწია და აჯანყებულები გონზე მოეყვანა; ამასთან დასძინა, რომ თუ პორტა თავის განზრახვაზე უარს არ იტყოდა, მაშინ მისი მბრძანებელი, შაჰი, ძალის გამოყენებით ეცდებოდა მათ განდევნას. ამაზე დიდმა ვეზირმა უპასუხა, რომ პორტას არასოდეს გაუჩნდებოდა განზრახვა საქართველოსა და სხვა სპარსული პროვინციების დაკავების, რომ არა ის ფაქტი, თითქოს სპარსულ მხარეს რუსები დახმარებისთვის მოეწვია, რომელთა მზარდი ძალა აზიაში პორტისთვის გარდაუვალად დიდ ეჭვსა და შეშფოთებას იწვევდა. განსაკუთრებით მკაცრად გაკიცხა მან ელჩი იმის გამო, რომ ახალგაზრდა შაჰი ყველაფერს რუსეთის საიმპერატორო უდიდებულესობას უთანხმებდა, ვინაიდან მათ თავრიზში საკუთარი ემისრები ჰყავდათ და ამის გამო შაჰი მის უდიდებულესობასთან შეუთანხმებლად არაფერს აკეთებდა. ამის შემდეგ ელჩმა დიდ ვეზირს დაჟინებით მოსთხოვა თავისი წინადადების შესახებ მკაფიო პასუხი, რაზეც პასუხად მიიღო, რომ ახალგაზრდა შაჰის პორტასგან არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა, თუკი ის რუსულ მხარეს არ მიატოვებდა და დიდ სულთანს უპირობოდ არ დაემორჩილებოდა“ (Correspondenten, 25.01.1724, N12: 1-2).

ცნობაში საქართველო ფიგურირებს არა როგორც დამოუკიდებელი მოქმედი მხარე, არამედ როგორც სადავო ტერიტორია, რომლის კონტროლი სხვადასხვა იმპერიული ძალის არგუმენტაციის ნაწილად იქცევა. სპარსეთის ახალგაზრდა შაჰის დესპანი თურქთა შეჭრას

საქართველოში და სხვა სპარსულ პროვინციებში წარმოაჩენს როგორც მშვიდობის დარღვევას, ხოლო ოსმალური მხარე პასუხად საქართველოს ოკუპაციას ამართლებს რუსეთის ფაქტორით, კერძოდ, იმით, რომ სპარსულმა ხელისუფლებამ რუსეთი დახმარებისთვის მოიწვია და ამით პორტასთვის აზიაში მზარდი საფრთხე შექმნა. ამგვარად, საქართველო ტექსტში იკითხება როგორც სივრცე, სადაც ერთმანეთს ეჯახება ოსმალური უსაფრთხოების ლოგიკა და რუსული პოლიტიკური გავლენა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ დიდი ვეზირი ახალგაზრდა შაჰის საყვედურობს რუსეთის იმპერატორთან მუდმივ კოორდინაციას და თავრიზში რუსი ემისრების ყოფნას. ეს ხაზს უსვამს გერმანულ პრესაში გავრცელებულ აღქმას, რომლის მიხედვითაც საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის საკითხი უკვე მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთ-ოსმალეთის კონკურენციასთან. საბოლოოდ, პორტას მიერ დასმული ულტიმატუმი - რუსული მხარის მიტოვება და დიდი სულთნისადმი უპირობო მორჩილება - აჩვენებს, რომ საქართველო და მიმდებარე რეგიონები ამ ეტაპზე განიხილება არა კომპრომისის, არამედ ძალაუფლების გადანაწილების ლოგიკაში.

1723 წლის 24 დეკემბრით დათარიღებული ინფორმაცია, რომელიც 1724 წლის 15 თებერვალს არის გამოქვეყნებული, წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ცნობას, რომელიც კონსტანტინოპოლიდან ვრცელდება: „*საქართველოს საზღვრიდან გამოგზავნილი სხვადასხვა სასწრაფო შეტყობინების მეშვეობით მიღებულ იქნა ცნობა, რომ იბრაჰიმ-ფაშა და ვანის გუბერნატორი 60 000-კაციანი არმიით სპარსეთის სიღრმეში შეიჭრნენ; თუმცა ერევნის იქით, ოცი მილის მანძილზე, ახალი შაჰის 80 000 მებრძოლისგან შემდგარმა არმიამ, მათ შეუტია, უკუაქცია და გაქცევა აიძულა. მას შემდეგ, რაც მანამდე სისხლისმღვრელი ბრძოლა გამართეს, რომელშიც ორივე მხარეს მრავალი ადამიანი დაეცა, ამ შეტაკებაში ჩვენებმა⁶ დაკარგეს 16 ზარბაზანი, ასევე თითქმის ყველა კარავი და ბარგი, რამაც აქ გამოუთქმელი შეძრწუნება გამოიწვია“ (Correspondenten, 15.02.1724, N25: 2). ცნობაში ინფორმაციის წყარო უცნობია, რაც ზრდის ჯარის რიცხოვნობის, დანაკარგებისა და მოვლენათა მასშტაბის შესაძლო გაზვიადების ალბათობას. მიუხედავად ამისა, ტექსტი სანდოა იმ თვალსაზრისით, რომ ასახავს ოსმალეთ-სპარსეთის სამხედრო დაპირისპირების მიმდინარეობას და მასთან დაკავშირებულ რეაქციებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მოხსენიება არა როგორც ბრძოლის ადგილის, არამედ როგორც ინფორმაციული და სტრატეგიული საზღვრის, რაც მიუთითებს რეგიონის საკვანძო პოზიციაზე სამხედრო კომუნიკაციაში. ევროპელი მკითხველისთვის ეს ტექსტი ქმნიდა წარმოდგენას კავკასიის შესახებ, როგორც დიდი იმპერიების სამხედრო შეჯახების ზონის შესახებ, სადაც მოვლენები სწრაფად ვითარდება. საქართველოს საზღვარი აქ ჩანს როგორც ინფორმაციის მომწოდებელი პერიფერია. ემოციური შინაარსის ტერმინების გამოყენება მკითხველს რთავს ნარატივში და აძლიერებს განცდას, რომ ოსმალური მხარის მარცხი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაა, რომელმაც კონსტანტინოპოლშიც კი „გამოუთქმელი შეძრწუნება“ გამოიწვია.*

1724 წლის 25 თებერვალს გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს სამხედრო-სტრატეგიულ ცნობას, რომელიც სანკტ-პეტერბურგიდან ვრცელდება და მოსკოვიდან მიღებულ წერილებსა და მაცნეს ინფორმაციას ეფუძნება: „*მოსკოვიდან მიღებული წერილებით იუწყებიან, რომ ანდრეოვიდან იქ ჩასულმა მაცნემ სასიხარულო ცნობა მოიტანა: გენერალმა მატეიუშკინმა 12 000-კაციანი კორპუსით ნოემბერში მთელი გილანის პროვინცია დაიკავა, გარდა რამდენიმე ციხესიმაგრისა, რომელთა დაპყრობასაც უახლოეს ხანში ვარაუდობდნენ. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღოდათ ბაქოს*

⁶ „ჩვენებმა“ - მიუთითებს ტექსტის ავტორის/ინფორმატორის იდენტიფიკაციას ოსმალურ მხარესთან.

მცხოვრებლებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს და როგორც ამბობენ, საუკეთესო ხელმძღვანელობა უზრუნველყვეს იქ გარნიზონში მდგომი მათი რამდენიმე პოლკის მემკვიდრით. ამასთანავე შენიშნეს, რომ თბილისში მყოფი თურქები ამ დაპყრობით ძლიერ აღელდნენ და რამდენიმე პოლკი უფრო ახლოს წამოწიეს, რათა, თუკი რუსები კიდევ უფრო გააფართოებდნენ თავიანთ მოქმედებებს, ამისთვის ხელი შეეშალათ. ამ მიზეზით ზემოხსენებულმა გენერალმა საჭიროდ ჩათვალა რაც შეიძლება მეტი ჯარის ერთად შენარჩუნება, რათა საჭიროების შემთხვევაში თურქებთან ბრძოლა გაეხდინა, თუკი ისინი წინააღმდეგობას გაუწევდნენ“ (Correspondenten, 25.02.1724. N 31:1-2).

ცნობაში მკაფიოდ იკვეთება რუსული სამხედრო წარმატებების ნარატივი, რაც მიუთითებს წყაროს პრორუსულ პერსპექტივაზე. რიცხვები და წარმატებების მასშტაბი შესაძლოა ნაწილობრივ გაზვიადებული იყოს, თუმცა ტექსტი სანდოა იმ თვალსაზრისით, რომ ასახავს რუსეთის სამხედრო გაფართოების მიმართულელებს კასპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისის მოხსენიება, როგორც ოსმალური ძალების კონცენტრაციის პუნქტის, რაც ადასტურებს ქალაქის სტრატეგიულ მნიშვნელობას რეგიონში. ევროპელი მკითხველისთვის ეს ცნობა ქმნიდა წარმოდგენას რუსეთის იმპერიის როგორც მოწინავე და ორგანიზებული სამხედრო ძალის შესახებ, რომელიც თანმიმდევრულად აფართოებს კონტროლს სპარსეთის ჩრდილოეთ პროვინციებსა და კასპისპირეთში. საქართველოს კონტექსტში, თბილისი აქ ჩნდება არა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ცენტრი, არამედ როგორც ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირების კვანძი, საიდანაც შესაძლო კონტრშეტევა იგეგმება. ტექსტი აძლიერებს იმ წარმოდგენას, რომ კავკასია და მისი ქალაქები ევროპული პრესის თვალში აღიქმებოდა როგორც იმპერიული სამხედრო სტრატეგიების გარემო.

სანკტ-პეტერბურგიდან 1724 წლის 3 თებერვლით დათარიღებული ცნობა აერთიანებს სამხედრო მოვლენების აღწერას და რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების უფრო ფართო ფორმულირებას. ერზერუმში მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკებების, დროებითი ზავისა და პარალელურად მიმდინარე სამხედრო მზადების შესახებ ცნობები აჩვენებს, რომ დიპლომატიური პროცესი და სამხედრო ზეწოლის შესაძლებლობა ერთიან სტრატეგიულ ხედვაში განიხილებოდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ტექსტის ის მონაკვეთი, სადაც იტყობინებიან, რომ „ჩვენი იმპერატორი აბსოლუტურ პრეტენზიას აცხადებს, რომ საქართველოსა და დაღესტნის პროვინციები, აგრეთვე შირვანის ნაწილი, სამუდამოდ უნდა დარჩეს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში“ (Correspondenten, 04.03.1724. N 36: 1). ეს ფორმულირება არ წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, არამედ პრესის ინფორმაციის სახით გადმოცემულ პოზიციას, თუმცა მის შინაარსში მკაფიოდ იკვეთება ტერიტორიული მოთხოვნის გრძელვადიანი ხასიათი. აქ საქართველო აღარ არის წარმოდგენილი როგორც სივრცე, რომლის კუთვნილებაც რუსეთის პოლიტიკური წარმოდგენით უკვე სტრატეგიულად განსაზღვრულია. ევროპელი მკითხველისთვის მსგავსი ცნობები რუსეთის მოქმედებებს ანიჭებდა გრძელვადიან პერსპექტივას და კავკასიის საკითხს საერთაშორისო პოლიტიკის სტაბილურ თემად აქცევდა. ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში სამხედრო ქრონიკა გარდაიქმნება იმპერიული პოლიტიკის საჯარო ფორმულირებად.

კონსტანტინოპოლიდან 1724 წლის 19 იანვრით დათარიღებული ცნობა ნათლად ასახავს იმ ინფორმაციულ და პოლიტიკურ გაურკვევლობას, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისის აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის საკითხებს ახლავს: „...გავრცელებული საგაზეთო ცნობები იმის შესახებ, თითქოს თურქული არმია სპარსულმა დაამარცხა, როგორც ჩანს, უსაფუძვლოა, ვინაიდან შემდგომ გაირკვა, რომ პირველმა თითქმის მთელი საქართველო

დაიმორჩილა და განზრახული ჰქონდა შეტევა ანდრეოვზე, რომელიც რუსების მიერ არის დაკავებული... მოკლედ აქ, ომისა და მშვიდობის შესახებ ყოველდღიურად ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები ვრცელდება, რომ მათგან ვერაფერი შეიძლება დანამდვილებით ითქვას“ (Correspondenten, 07.03.1724. N 37: 1). თურქული არმიის მიერ „თითქმის მთელი საქართველოს“ დაუფლების ხსენება და ანდრეოვზე შესაძლო შეტევის გეგმები აჩვენებს, რომ პოლიტიკური განცხადებები და სამხედრო რეალობა ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის. ტექსტის შენიშვნა, რომ ომისა და მშვიდობის შესახებ ცნობები ყოველდღიურად ურთიერთსაწინააღმდეგოდ ვრცელდება, თვითონ იქცევა ქრონიკის მთავარ გზავნილად. საქართველო და კავკასია წარმოჩენილია როგორც სივრცე, სადაც საერთაშორისო პოლიტიკა, სამხედრო მოძრაობები და დიპლომატიური განცხადებები ერთდროულად და გაურკვეველი შედეგით მოქმედებს. ამგვარად, მოცემული ცნობა გვიჩვენებს, როგორ გარდაიქმნება გაზეთის ქრონიკა პოლიტიკური გაურკვეველობად, რომელიც ევროპელ მკითხველს აღმოსავლეთის მოვლენების სირთულესა და არაპროგნოზირებადობაზე მიუთითებს.

სანკტ-პეტერბურგიდან მიღებული 7 თებერვლის ცნობა ავლენს რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს - დათმობის პირობით ხასიათს და მასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ შიშს. ტექსტში აღნიშნულია, რომ „თურქები მზად იყვნენ დაეთმოთ რუსეთისთვის საქართველოს პროვინცია და დაღესტნის ნაწილი, რომ არა ის შიში, რომ დროთა განმავლობაში რუსეთის იმპერატორი კიდევ უფრო მეტ პროვინციას მოაქცევდა თავის მორჩილებაში და, ამასთანავე, პორტას საზღვარზე არეულობას გამოიწვევდა, რის გამოც იგი იძულებული იქნებოდა იქ მუდმივად ფხიზლად ყოფილიყო“ (Correspondenten, 08.03.1724. N 38: 1). ამ ფორმულირებაში მთავარი აქცენტი არ კეთდება თავად დათმობის რეალურ შესაძლებლობაზე, არამედ იმ საფრთხეზე, რომელსაც ოსმალური მხარე რუსეთის გრძელვადიან გაფართოებაში ხედავს. საქართველო და დაღესტანი აქ ფიგურირებს როგორც შესაძლო კომპრომისის საწყისი ობიექტები, რომელთა გადაცემა შესაძლოა შეჩერების მექანიზმად აღიქმებოდეს რუსეთის შემდგომი ექსპანსიის წინააღმდეგ. ცნობა ასახავს არა დასრულებულ შეთანხმებას, არამედ პოლიტიკური აზროვნების ლოგიკას, სადაც ტერიტორიული საკითხები განიხილება როგორც დროებითი ბალანსის მიღწევის საშუალება. ევროპელი მკითხველისთვის ასეთი ტექსტი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ კავკასია და განსაკუთრებით საქართველო იქცა იმ სივრცედ, რომლის გარშემოც განისაზღვრებოდა არა მხოლოდ მიმდინარე ომის შედეგები, არამედ იმპერიათა მომავალი ურთიერთობები.

1724 წლის 11 მარტის ნომერში ერთდროულად გამოქვეყნებული ორი ცნობა - მოსკოვიდან და სანკტ-პეტერბურგიდან - ქმნის კავკასიისა ერთიან, სტრატეგიულად ჩაკეტილ სურათს. მოსკოვის ცნობაში აღნიშნულია, რომ „ახალგაზრდა შაჰი, რომელსაც 40 000-კაციანი არმია ჰყავს განლაგებული დაღესტანში და რომელიც პირადად იმყოფება მასთან, სულ უფრო და უფრო წინ იწევს შირვანში, რათა მირივეის თავისი მომხრეებითურთ ტყვედ ჩაიგდოს. ამის საპირისპიროდ, ოსმალეთის პორტა ამტკიცებს, რომ აჯანყებული მანამდე უნდა იყოს მშვიდად, ვიდრე იგი რუსეთის იმპერატორთან შეთანხმებას არ მიაღწევს“ (Correspondenten, 11.03.1724. N 40: 1-2). ამ ნარატივს ავსებს სანკტ-პეტერბურგის ცნობა, სადაც შირვანი უკვე აღწერილია როგორც ორმხრივად კონტროლირებული და ფაქტობრივად ჩაკეტილი სივრცე: „მირივეისი ამჟამად მართლაც გადასახლებაში ცხოვრობს და შირვანის პროვინციიდან გაქცევას ვერ ახერხებს. ეს პროვინცია საქართველოსა და დაღესტნის მხრიდან ჩვენი ჯარების მიერ, ხოლო მეორე მხრიდან - თურქების მიერ, რის გამოც აჯანყებული ვერც ჩვენს ჯარებთან გადასვლას ბედავს და ვერც თურქებთან“ (Correspondenten, 11.03.1724. N 40: 1-2). ორივე

ცნობის ერთ ნომერში გაერთიანება მკითხველს სთავაზობს არა ცალკეულ სამხედრო ეპიზოდებს, არამედ ურთიერთდაკავშირებულ პროცესს, სადაც საქართველო და დაღესტანი ფუნქციონირებს როგორც სამხედრო ზეწოლის მიმართულებები, ხოლო შირვანი, როგორც იმპერიულ ძალებს შორის მოქცეული სივრცე. ამგვარი კონსტრუქცია აჩვენებს, თუ როგორ გარდაიქმნება რეგიონი ადგილობრივი კონფლიქტების არენიდან დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული მანევრების ველად, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები, სამხედრო გადაადგილებები და დიპლომატიური მოლოდინი ერთდროულად განსაზღვრავს მოვლენათა განვითარებას.

მნიშვნელოვან ეტაპს გაზეთის აპრილის თვის ქრონიკაში წარმოადგენს 19 მარტის სანკტ-პეტერბურგის ცნობა, რადგან აქ პირველად ხდება არა მხოლოდ ძალთა გადაადგილებისა და მოლაპარაკებების მოხსენიება, არამედ ტერიტორიული კონტროლის პირდაპირი დაფიქსირება. ტექსტი ხაზგასმით მიუთითებს დიპლომატიური შეთანხმების გაურკვეველობაზე, თუმცა პარალელურად გადადის ფაქტობრივი ძალაუფლების აღწერაზე: „იმ პუნქტების შესახებ, რომლებიც ამ სახელმწიფოსა და ოსმალურ პორტას შორის იქნა შეთანხმებული, ამ დრომდე ვერაფრის გარკვევით გაგება ვერ მოხერხდა. მოსკოვიდან იუწყებიან, რომ ინდესტანის⁷ მცხოვრებნი ახალგაზრდა შაჰს მიემხრნენ და მას 50 000-კაციანი არმია შესთავაზეს; იგივე ითქმის დაღესტნელებზეც, რომელთაც კიდევ უფრო დიდი ძალის გამოყვანა შეუძლიათ... როგორც იუწყებიან, საქართველოსა და შირვანის პროვინციები თითქოს თავად გაგარინს⁸ დაუკავებია, ხოლო დაღესტანი - ახალგაზრდა სოფის“ (Correspondenten, 12.04.1724. N 58: 1). ამ ციტატაში ერთდროულად იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი: შეთანხმებების გაურკვეველობა, სამხედრო რესურსების მობილიზაცია და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ტერიტორიული სივრცეების უკვე განაწილებულად წარმოადგენა. საქართველოსა და შირვანის ფლობის დაკავშირება თავად გაგარინის სახელთან, ხოლო დაღესტანის - ახალგაზრდა შაჰთან, აჩვენებს, რომ გაზეთის ქრონიკა რეგიონს აღიქვამს როგორც რეალური ძალაუფლების განაწილების ველს და არა მხოლოდ მომავალი შეთანხმებების საგანს. კავკასია მკითხველის წინაშე ჩნდება როგორც უკვე ნაწილობრივ დადგენილი პოლიტიკური რეალობა, სადაც დიპლომატიური მოლაპარაკებები და სამხედრო ფაქტები პარალელურად, მაგრამ არა აუცილებლად თანხვედრილად ვითარდება.

15 მარტით დათარიღებული კონსტანტინოპოლის ცნობა კავკასიური თემის განვითარებაში მნიშვნელოვან შინაარსობრივ ძვრას ასახავს, რადგან საქართველო აქ ჩნდება როგორც პოლიტიკური ერთეული. ტექსტში პირდაპირ აღნიშნულია, რომ „...რამდენიმე დღის წინ აქ ჩამოვიდნენ საქართველოს პროვინციის სხვადასხვა წოდებათა წარმომადგენლები, რომლებიც მირივეისის ელჩების ხელმძღვანელობით დიდ ვეზირთან აუდიენციაზე იქნენ დაშვებული“ (Correspondenten, 05.05.1724. N 71: 1). ეს ფორმულირება გაზეთის ქრონიკაში იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც საქართველოსთან დაკავშირებული აქტორები

⁷ ტერმინი „ინდესტანი“ („Indestan“) მოცემულ ტექსტში, დიდი ალბათობით, წარმოადგენს ინდოსტანის (Hindustan/Hindustan) არასტანდარტულ ორთოგრაფიულ ფორმას, რაც XVIII საუკუნის გერმანულენოვან პრესაში ფართოდ არის გავრცელებული.

⁸ წყაროში მოხსენიებული „თავადი გაგარინი“, დიდი ალბათობით, უნდა იგივედებოდეს მატვეი პიოტრის ძე გაგარინთან (რუს. Матвей Петрович Гагарин, 1659-1721) - პიოტრ I-ის ეპოქის ერთ-ერთ ცნობილ სახელმწიფო მოღვაწესთან. მიუხედავად იმისა, რომ იგი აღნიშნული პერიოდისთვის გარდაცვლილი იყო, მისი სახელი ევროპულ პრესაში ხშირად ფიგურირებდა რუსეთის ტერიტორიული გაფართოების კონტექსტში.

დიპლომატიური მოქმედების სუბიექტებად ფიგურირებენ. ამასთანავე, აღნიშნული წარმომადგენლობა⁹ მკაფიოდ არის ჩასმული მირვეისის პოლიტიკურ ქსელში, რაც აჩვენებს, რომ გაზეთის ნარატივის ფარგლებში ადგილობრივი მმართველები უფრო ფართო რეგიონულ კონფიგურაციებში ინტეგრირდებიან და დამოუკიდებლად არ მოქმედებენ.

ვარშავიდან 15 ივლისით დათარიღებული ცნობა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან იგი კავკასიურ საკითხს არა მიმდინარე მოვლენების, არამედ სამშვიდობო წესრიგის შესაძლო პროექტის სახით წარმოაჩენს. ტექსტი სისტემურად ჩამოთვლის იმ პუნქტებს, რომლებიც, როგორც იუწყებიან, რუსეთსა და პორტას შორის უნდა შეთანხმებულიყო, და მათ შორის ერთ-ერთ ცენტრალურ მომენტად სწორედ ტერიტორიული გადანაწილება ფიგურირებს, კერძოდ: „შირვანის პროვინციაში უნდა განთავსდეს რუსული ჯარები 10 000 კაცამდე; აღნიშნული პროვინცია სამუდამოდ უნდა დარჩეს რუსეთის იმპერატორს. საქართველო უნდა გადავიდეს პორტას მფლობელობაში“ (Correspondenten, 25.07.1724. N 117: 2). საქართველო აქ პირველად ჩნდება როგორც მოლაპარაკებების ობიექტი, რომლის ბედი განისაზღვრება მესამე ძალების შეთანხმებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს პუნქტები წარმოდგენილია როგორც გავრცელებული ცნობები, მათი დეტალურობა და სისტემურობა ევროპელ მკითხველს სთავაზობდა კავკასიის მკვეთრად რედუცირებულ სურათს, რეგიონს, რომლის მომავალი განისაზღვრება არა ადგილობრივი პროცესებით, არამედ დიდი იმპერიების შეთანხმებებით. ის ფაქტი, რომ ეს პუნქტები ვრცელდება ვარშავიდან და არა უშუალოდ კონსტანტინოპოლიდან ან სანკტ-პეტერბურგიდან, მიანიშნებს, რომ ინფორმაცია გადმოცემულია მესამე წყაროდან, სადაც იმპერიული მოლაპარაკებები უკვე ინტერპრეტირებული და გადამუშავებულია.

ვარშავიდან გავრცელებული ცნობები ქმნის პოლიტიკური სცენარების ჩარჩოს, რომელშიც კავკასიის სივრცე იმპერიული გადანაწილების ობიექტად არის წარმოდგენილი. თუმცა ეს ფორმულირებები მალევე ეჯახება სხვა, უკვე უფრო საგანგაშო ტონს, რომელიც 30 ივლისის სანკტ-პეტერბურგის ცნობაში იჩენს თავს. აქ საქართველო აღარ ფიგურირებს მხოლოდ დიპლომატიური შეთანხმებების საგნად, არამედ ჩნდება როგორც მოსალოდნელი სამხედრო ოპერაციის უშუალო ობიექტი: „...თურქებს საერთოდ არ აქვთ განზრახული სპარსეთში დადებული ხელშეკრულების დაცვა დადგენილი პუნქტების შესაბამისად და ხელსაყრელი მომენტის შემთხვევაში შესაძლოა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია განახორციელონ; ამის გამო ჩვენი კარი კვლავ აგზავნის უკრაინიდან რამდენიმე ათას ჯარისკაცს, რათა უკვე მოპოვებული დაპყრობები უფრო მყარად დაეკავებინათ“ (Correspondenten, 26.07.1724. N 118: 1). ამ ციტატაში მკაფიოდ იკვეთება დისკურსული ტრანსფორმაცია: ვარშავაში ცირკულირებადი სამშვიდობო პროექტები პეტერბურგის ქრონიკაში გარდაიქმნება სამხედრო მზადყოფნის ენად. საქართველო ამ პროცესში წარმოდგენილია როგორც სასაზღვრო სივრცე, სადაც დიპლომატიური ვარაუდები უშუალოდ უკავშირდება ძალის გამოყენების მოლოდინს. ამგვარად, გაზეთის მასალა აჩვენებს, თუ როგორ თანაარსებობს ევროპულ საინფორმაციო სივრცეში პოლიტიკური პროექტი და სამხედრო შიში, ხოლო კავკასია, განსაკუთრებით საქართველო, ამ დაპირისპირების ცენტრალურ საკვანძო ზონად ყალიბდება.

⁹ გერმანულ ტექსტში ტერმინი „Deputirte von denen Ständen“ აღნიშნავს წოდებრივ წარმომადგენლებს, რომლებიც ადრეულ ევროპულ პოლიტიკურ ენაში გულისხმობდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური წოდების სახელით მოქმედ პირებს. მოცემულ კონტექსტში ეს ფორმულირება გამოიყენება გაზეთის ქრონიკისთვის დამახასიათებელი, ზოგადი მნიშვნელობით, როგორც კოლექტიური წარმომადგენლობის აღმნიშვნელი.

1724 წლის 28 ივლისს გამოქვეყნებული ცნობა, რომელიც კონსტანტინოპოლიდან 10 ივნისს არის გაგზავნილი, აჩვენებს, რომ კავკასიის საკითხი გაზეთის ქრონიკაში ერთდროულად იშლება დიპლომატიური მოლაპარაკებების, რელიგიური არგუმენტაციისა და სამხედრო მზადების ჭრილში. ერთი მხრივ, ტექსტი აღწერს პორტასა და რუსეთს შორის მიმდინარე კონფერენციების შეწყვეტას ბაირამის დღესასწაულის გამო და მიუთითებს, რომ ხელშეკრულების დასრულება კვლავ გაურკვეველია. მეორე მხრივ, ცნობა აშკარად უსვამს ხაზს ოსმალური პოლიტიკის ექსპანსიურ განზრახვას: „...ამასთანავე, უდავოა, რომ პორტა ცდილობს სპარსეთში არსებული არეულობებით ისარგებლოს, რათა თავისი დაპყრობები საქართველოსა და სხვა პროვინციების მიმართულებით გააფართოოს. ამ მიზნით კაიროდან სპეციალურად ჩამოყვანილი 3000 იანიჩარი პირველივე შესაძლებლობისას უნდა გადაიყვანონ გემებით შავი ზღვის გავლით ტრაპიზონში, საიდანაც ისინი სახმელეთო გზით თბილისისკენ უნდა დაიძრან“ (Correspondenten, 28.07.1724. N 119: 2). ამ კონტექსტში საქართველო წარმოდგენილია არა როგორც ზოგადი საზღვრისპირა ტერიტორია, არამედ როგორც კონკრეტული სამხედრო მიზანი. კაიროდან 3000 იანიჩარის გამოყვანისა და მათი ტრაპიზონის გავლით თბილისისკენ გაგზავნის გეგმა საქართველოს უშუალო სამხარო მოქმედებების ზონად აჩენს. ევროპელი მკითხველისთვის ეს ცნობა ქმნიდა იმპერიებს შორის კონკურენციის არეალის სურათს, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რელიგიური არგუმენტები და ძალის გამოყენება ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული.

კონსტანტინოპოლიდან მიღებული 17 ივლისის ცნობა, რომელიც 1 სექტემბერს გამოქვეყნდა, ცხადყოფს, რომ კავკასიისა და საქართველოს საკითხი უკვე აღარ განიხილება მხოლოდ რუსეთ-ოსმალეთის ორმხრივ კონტექსტში, არამედ ინტეგრირებულია ფართო ევროპულ დიპლომატიურ პროცესში. პორტას კომისრებსა და რუს რეზიდენტს შორის გამართული ორი კონფერენცია მიმდინარეობდა ფრანგი დიპლომატის, ჟან-ლუი დ'იუსონის, ბონაკის მარკიზის¹⁰ შუამავლობით, რაც აღმოსავლეთის საკითხებში საფრანგეთის აქტიურ ჩართულობაზე მიუთითებს. კავკასიის მომავალი უკვე განიხილება როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემა, რომელიც ევროპული ძალების მონაწილეობას მოითხოვს. ცნობის ცენტრალური ნაწილი ე.წ. „სპარსეთის გაყოფის ხელშეკრულებას“ ეხება და იმპერიული გადანაწილების სქემას ასახავს, რომელშიც საქართველოს პირდაპირ სახელდება: „ამ ხელშეკრულების მუხლები ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა იუწყებიან, რომ მათ შორის გათვალისწინებულია შემდეგი: პორტას უნდა დარჩეს კარდუელის, ერევნისა და თავრიზის პროვინციები, ქალაქ ჰამადანთან ერთად, ისევე როგორც სხვა ადგილები, რომლებიც ძველ ბაბილონის სამეფოს შეადგენდა“ (Correspondenten, 01.09.1724. N 139: 2). ქართლის მოხსენიება ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან იგი ჩნდება არა როგორც ადგილობრივი პოლიტიკური ერთეული, არამედ როგორც იმპერიული შეთანხმების საგანი, რომლის ბედი მესამე ძალების მიერ განისაზღვრება. ამავე დროს, მოლაპარაკებების მექანიზმში საფრანგეთის მონაწილეობა, როგორც თავად ხელშეკრულების კონფერენციებში, ისე საზღვრების რეგულირების მომავალ ეტაპზე, კავკასიის საკითხს ევროპული ძალთა ბალანსის ნაწილად აქცევს.

¹⁰ ჟან-ლუი დ'იუსონ, ბონაკის მარკიზი (1672–1738, Jean-Louis d'Usson, marquis de Bonnac) - ფრანგი ელჩი კონსტანტინოპოლში, XVIII საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი დიპლომატიური ფიგურა იყო. მან მოიპოვა სულთან აჰმედ III-ისა და დიდი ვეზირის იბრაჰიმ-ფაშას ნდობა, რაც განაპირობა მისმა როლმა როგორც ნეიტრალურმა შუამავალმა რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკებებში, მათ შორის სპარსეთის საკითხზე. მისი შუამავლური საქმიანობა აღიარდა რუსეთის მხრიდანაც: 1724 წელს იგი დაჯილდოვდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის, ხოლო 1725 წელს - წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენებით.

1723-1724 წლების გაზეთის - „Staats- u. gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten“ - მასალები ცხადყოფს, რომ გერმანული პერიოდიკა კავკასიის მოვლენებს აღარ აღიქვამდა მხოლოდ აღმოსავლური კრიზისის ეპიზოდად. სამხედრო ცნობების, დიპლომატიური მიმოწერებისა და პოლიტიკური კომენტარების მეშვეობით საქართველო თანდათან ერთვება იმ საერთაშორისო საკითხთა წრეში, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის კავკასიურ პოლიტიკასთან, ოსმალეთის სტრატეგიულ ინტერესებთან და სპარსეთის კრიზისთან. ამ პროცესში პერიოდული გამოცემა არა მხოლოდ ინფორმაციას ავრცელებდა, არამედ ქმნიდა კავკასიის პოლიტიკურ რუკას ევროპელი მკითხველისთვის. სწორედ ამ თვალსაზრისით, გაზეთის მასალები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც მოვლენათა ქრონიკა, არამედ როგორც წყარო, რომელიც XVIII საუკუნის ევროპულ მედიაში საქართველოსა და კავკასიის იმპერიული აღქმის ჩამოყალიბების შეფასების საშუალებას იძლევა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- Staats- u. gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten* (1723). Nr. 15, N112, N130, N137, N163, N165, N174.
- Staats- u. gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten* (1724). Nr. 12, N25, N31, N36, N37, N38, N40, N58, N71, N117, N118, N119, N139.
- Böning, H. (2002). *Periodische Presse : Kommunikation und Aufklärung; Hamburg und Altona als Beispiel*. Bremen: Ed. Lumière.
- Stöber, R. (2025). *Deutsche Pressegeschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart*. 4., überarbeitete Auflage. Köln: Herbert von Halem Verlag.
- Густерин, П. (2024). *История жизни и труды молдавского господаря и российскийского князя Дмитрия Кантемира*. Москва, с. 169-172.

References:

- Staats- und gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten* (1723). Nr. 15, 112, 130, 137, 163, 165, 174.
- Staats- und gelehrte Zeitung des holsteinischen unpartheyischen Correspondenten* (1724). Nr. 12, 25, 31, 36, 37, 38, 40, 58, 71, 117, 118, 119, 139.
- Böning, H. (2002). *Periodische Presse: Kommunikation und Aufklärung. Hamburg und Altona als Beispiel*. Bremen: Ed. Lumière.
- Stöber, R. (2025). *Deutsche Pressegeschichte: Von den Anfängen bis zur Gegenwart*. 4th revised edition. Köln: Herbert von Halem Verlag.
- Gusterin, P. (2024). *Istoriya zhizni i trudy moldavskogo gospodarya i rossiyskogo knyazya Dmitriya Kantemira*. Moscow, pp. 169-172.